საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისტორიული ანთროპოლოგია

ისტორიული ანთროპოლოგია, კაცობრიობის ისტორიის სოციოკულტურული შემეცნების ერთ-ერთი მიმართულება. გამოყენებითი მეცნიერება, ისტორიისთვის იძლევა ინფორმაციას, რ-იც არ მოიპოვება სხვა ისტ. წყაროებით. ი. ა. არ შეიძლება გამოიყოს ანთროპოლოგიის რომელიმე ცალკე დარგის სახით. მისი საგანი და მიზანი არის ანთროპოლ. მონაცემების გამოყენება ისტ. მეცნიერების ინტერესიდან გამომდინარე – დაწყებული უძველესი დროიდან, დამთავრებული თანამედროვეობით.

ადამიანის ფიზ. აგებულების საფუძველზე შესაძლებელია აზროვნების თავისებურების, მეტყველებისა და ქცევის, რასობრივი ერთობლიობების დინამიკა და დიფერენციაცია, უძველესი კოლექტივების დემოგრ. დახასიათება. მხოლოდ ანთროპოლ. მონაცემებითაა შესაძლებელი უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის, სიკვდილიანობის, რიცხოვნობისა და სხვა დემოგრ. პარამეტრების, ცხოვრების დონისა და წესის, მიგრაციის, ფიზიკური განვითარებისა და ა. შ. განსაზღვრა.

ანთროპოლ. მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი ზოგა-დისტორიული პრობლემების გადაჭრაში: პირველყოფილი საზ-ბის პერიოდიზაცია, ადამიანის წინაპრების შრომითი და სოც. ცხოვრება, აზროვნებისა და მეტყველების განვითარება, ცივილიზაციის კერების ჩამოყალიბება; ბიოლ. და სოც. ფაქტორების როლის დადგენა კაცობრიობის ისტორიაში; მიგრაციის როლი კულტურის განვითარებასა და ხალხთა ჩამოყალიბებაში; თანამედროვე და უძველესი მოსახლეობის ნათესაობა და უწყვეტი განვითარება; ეთნოგენეზისის კვლევები და ა.შ.

ლიტ.: ჯ ო ხ ა ძ ე გ., ისტორიული ანთროპოლოგია, თბ., 2009.